საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

www.mofea.ge

6018 ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119 ტელეფონი: (04 22) 27 35 10 (102) ფაქსი: (04 22 27 66 71)
6018 №119 Komakhidze str, Batumi, Georgia Tel: (04 22) 27 35 10 (102) Fax: (04 22 27 66 71)

756-01-01-10-2-201902181107

N 01-01-10/756
18/02/2019

ქალბატონ ნაზიბროლა რეხვიაშვილს

(ქალაქი ბათუმი, წერეთლის ქუჩა №6, ბ. №43
მობ: 557 20 00 01)

ქალბატონო ნაზიბროლა,

თქვენი 2019 წლის 11 თებერვლის განცხადების (რეგ. №01-01-09/941) პასუხად გაცნობებთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2009 წლის 1 აპრილის №46 ბრძანებით, ირის ბორჩაშვილს (შემდგომში შპს „კმ გრუპი“) პირდაპირი მიყიდვის ფორმით, პირობადებულ საკუთრებაში გადაეცა ქ. ბათუმში, ზუბალაშვილის ქ. №237-ში მდებარე 3262 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული 232,60 შენობა-ნაგებობება (ს/კ 05.22.51.006). აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2009 წლის 20 აგვისტოს №122, 2010 წლის 13 აპრილის №61, 2010 წლის 12 ნოემბრის №222, 2014 წლის 17 აპრილის №100 და 2015 წლის 25 ნოემბრის №380 ბრძანებების, 2014 წლის 17 აპრილის №61 და 2015 წლის 25 ნოემბრის №220 განკარგულებების საფუძველზე ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილებები (იხ. შეთანხმების აქტები) და საბოლოოდ, 2015 წლის 17 დეკემბრის მდგომარეობით მყიდველმა ს/კ 05.22.51.006 მიწის ნაკვეთზე, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად იკისრა შემდეგი ვალდებულებები:

- 2019 წლის 1 აპრილამდე ქ. ბათუმში, ზუბალაშვილის ქ. №37-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე ააშენოს და ექსპლუატაციაში მიიღოს საცხოვრებელი სახლი და უზრუნველყოს სკვერის მოწყობა შემდეგი გრაფიკის მიხედვით:

- 2016 წლის 1 მაისამდე დაიწყოს საცხოვრებელი სახლის მშენებლობა და 2017 წლის 1 იანვრამდე დაასრულოს საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნულოვანი ნიშნული;

- 2018 წლის 1 მაისამდე დაასრულოს მზიდი კონსტრუქციების მშენებლობა;

- აღნიშნული პროექტის რეალიზაციისათვის განახორციელოს არანაკლებ 8 000 000 (რვა მილიონი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ინვესტიცია;

- საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დაწყებიდან 3 (სამი) თვის ვადაში აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას მომავალი საკუთრების უფლებით გადასცეს არანაკლებ 400 (ოთხასი) კვ.მ საცხოვრებელი ფართი (ბინები, თითოეული ბინის ფართობი უნდა იყოს არანაკლებ 30 კვ.მ და არაუმეტეს 70 კვ.მ), ხოლო უფლებამოსილი ორგანოს მიერ საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღებიდან 3 (სამი) თვის ვადაში აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას ჩააბაროს არანაკლებ 400 (ოთხასი) კვ.მ საცხოვრებელი ფართი (ბინები, თითოეული ბინის ფართობი უნდა იყოს არანაკლებ 30 კვ.მ და არაუმეტეს 70 კვ.მ), რომლებშიც მოწყობილი იქნება შიდა ტიხრები, აივნებზე მეტლახი, წყალმომარაგების და წყალარინების (კანალიზაციის) ძირითადი/ცენტრალური დგარები, მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრები ორმაგი შუშით, ბინაში შესასვლელი ლითონის კარი და ელექტროენერგიის ძირითადი გამანაწილებელი.

შპს „კმ გრუპი“-ს 2016 წლის 24 მარტის №1693 წერილის პასუხად, განმცხადებელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2016 წლის 29 მარტის №01-10/1218 წერილით განემარტა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო არ არის წინააღმდეგი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

მთავრობის თავმჯდომარის 2009 წლის 1 აპრილის №46 ბრძანებით, პირდაპირი მიყიდვის ფორმით ირის ბორჩაშვილის საკუთრებაში გადაცემული ქ. ბათუმში, ზუბალაშვილის ქ. №237-ში მდებარე 3262 კვმ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული 232,60 შენობა-ნაგებობება (ს/კ 05.22.51.006) გაასხვისოთ შპს „DS GROUP“-ზე (ს/ნ 445411750), იმ პირობით თუ შესრულებული იქნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და ირის ბორჩაშვილს შორის 2009 წლის 1 აპრილს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები და ამასთან, გასხვისების შემთხვევაში შესაბამისი ქონების სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო“-ს ამონაწერზე აისახება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები“. შესაბამისად, დღეისათვის ზემოაღნიშნული უძრავი ქონების (ს/კ 05.22.51.011) მესაკუთრეა შპს „დს გრუპი DS GROUP“.

დანართი: „22“ ფურცელი.

პატივისცემით,

ჯაბა ფუტკარაძე

მინისტრი

.